

COVID-19-ის გავლენა გრიპის ვირუსის გავრცელებასა და სეზონურ ვაქცინაციაზე

ინა მამისაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

*ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი
ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა ბურჯანაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022 წელი

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

ინა მამისაშვილი

06. 19. 2022

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია COVID-19 პანდემიის გავლენა სეზონური გრიპის შემთხვევების შემცირებულ მაჩვენებელზე და მის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესზე. პანდემიის დასაწყისიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ნაწილში სეზონური გრიპის შემთხვევებმა კლება დაიწყო. ეს ფაქტი, შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად ადგილობრივი მთავრობების მიერ დაწესებული შეზღუდვებით, გრიპის ვაქცინაციის მაჩვენებლების მომატებით, ან ორივე ფაქტორის ერთობლივი მოქმედებით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სეზონური გრიპის შემთხვევების შემცირება, ძირითადად, დამოკიდებული იყო სოციალური დისტანცირების პოლიტიკის გატარებით, პირბადის სავალდებულო ტარების წესით, სასწავლო დაწესებულებების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის და სხვა რეგულაციების დაწესებით. შეზღუდვები ხელს უშლიდა ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები გრიპისმაგვარი ვირუსების გავრცელებას და იწვევდა ინფიცირების შემთხვევების მკვეთრ შემცირებას.

სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მაჩვენებლები მსოფლიოს მასშტაბით თითქმის არ შეცვლილა, ან იცვლებოდა პანდემიის საწყის ეტაპზე მცირე პროცენტულობით (2-3% აშშ-ის შემთხვევაში). კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის მოცვის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და შეადგენს მხოლოდ 22%-ს, რაც ვერ იქონიებდა გავლენას სეზონური გრიპის შემთხვევების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებაზე.

Abstract

The paper discusses the impact of the COVID-19 pandemic on the reduced incidence of seasonal influenza and the vaccination process against it. Since the beginning of the pandemic, the incidence of seasonal flu has begun to decline in almost every part of the world. This may have been due to restrictions imposed by local governments in line with WHO recommendations, an increase in Influenza vaccination rates, or a combination of both factors.

The study found that the reduction in seasonal influenza cases was largely dependent on a policy of social distancing, mandatory wearing of a face mask, the transition of educational institutions to remote mode, and the imposition of other regulations. Restrictions prevented the spread of airborne influenza viruses and led to a drastic reduction in cases of infection.

Seasonal flu vaccination rates worldwide have remained virtually unchanged, or varied by a small percentage in the early stages of the pandemic (2-3% in the US). The study found that the usage rate of the flu vaccine in Georgia is quite low at only 22%, which could not have reduced the number of seasonal flu cases to a minimum.